



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1179

14/06/2018

ქალაქი ბათუმი

1179-05-4-201806141741



**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების განაწილების კვარტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 11 იანვრის №104 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებლის მერაბ გვიანიძის 2018 წლის 11 ივნისის №1652-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების განაწილების კვარტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 11 იანვრის №104 ბრძანების პირველ პუნქტში და ამავე პუნქტით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა